განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი-ბათუმის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ია ქურიძე
წევრ(ებ)ი:
გიორგი ნებიერიძე

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს ამერიკულრლი საერთაშირისო სკოლა პროგრესი-ბათუმი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	445740075

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ბათუმი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ბათუმი, ვახტანგ შამილაძის ქუჩა N30
საფოსტო ინდექსი	6010
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://progressbatumi.ge/ka
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	infobatumi@schoolprogress.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	595 641 272

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	,,შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი-ბათუმის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ" სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 06 ივნისის ბრძანება N MES 2 25 0000633503
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2025 წლის 20 ივნისი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2025 წლის 13 მაისს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან შევიდა წერილი, რომელსაც თან ერთვოდა განცხადება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი-ბათუმში (შემდგომში - სკოლა/დაწესებულება) მოსწავლის უფლებების შესაძლო დარღვევის შესახებ. განმცხადებელს წარმოადგენს ამავე სკოლის უკვე ყოფილი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.

განმცხადებელი განცხადებაში აღნიშნავს, რომ მისი შვილი ზემოთ ხსენებულ სკოლაში ირიცხება 2024-2025 სასწავლო წლის სექტემბრიდან. განცხადებაში საუბარია განმცხადებლის შვილის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტებზე, კერძოდ, მასწავლებელმა ბავშვი ცალ ფეხზე დგომით დასაჯა აქტიურობის გამო. მშობელი წერს, რომ აღნიშნული ინციდენტის შემდეგ, დაურეკა პედაგოგს და გამოჰკითხა საერთო მდგომარეობა, საუბრის დასრულებისას კი მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ მასწავლებლის მხრიდან სადამსჯელო ღონისძიება არ განმეორებულა.

განცხადებაში მშობელი აღწერს, რომ ამ ფაქტიდან 2 კვირის შემდეგ, სკოლის ტუალეტში, სკოლის პერონალმა მის შვილს აიძულა აეკრიფა სხვისი გამოყენებული ქაღალდები და ბავშვს ისე შეეშინდა, რომ ხელის დაუბანლად დატოვა ტუალეტი. მშობელი წერს, რომ დღემდე არ იცის აღნიშნული პერსონალის ვინაობა.

მშობელი აღწერს, რომ სკოლის შიდა ეზოში შეესწრო ფაქტს, როდესაც სკოლის პერსონალი ხელით ეხებოდა ბავშვს - უშუალოდ მის სამოსს, რაზეც მშობელს ჰქონდა მყისიერი რეაქცია და აუხსნა, რომ ეს არ შეიძლებოდა. ამის შემდეგ, მშობელი შეხვდა სკოლის დირექტორს, დეტალურად მოახსენა ბავშვთან არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ და სთხოვა რეაგირება.

განცხადებაში საუბარია, რომ კლასში, პირველივე დღიდან იყო ქცევის პრობლემები, აგრესიით გამოირჩეოდა ერთ-ერთი მოსწავლე, რომელსაც ჰქონდა სპორტული გამოცდილება. ამ ფონზე, დირექციის გადაწყვეტილებით პარალელური კლასიდან გადმოყვანილ იქნა მოსწავლე, რომელიც გამოირჩეოდა ურთულესი ქცევით. აღნიშნულთან დაკავშირებით, დირექციის მიერ შერჩეულ დროს ჩაინიშნა მშობელთა კრება, თუმცა კრებაზე მხოლოდ კლასის დამრიგებელი მივიდა. კლასის დამრიგებელი იმპერატიული ტონით ითხოვდა პასუხს კითხვაზე: რატომ განიხილავდნენ მშობლები ჩატში სკოლის პრობლემებს.

განმცხადებელი წერს, რომ კრებაზე მან მშობლებს გააცნო ის ფაქტები, რაზეც მანამდე ისაუბრა დირექციასთან და რომ არავინ დაჰკავშირებია დირექციიდან და მის შვილთან დაკავშირებულ ინციდენტზე არავის უცნობებია დამატებითი დეტალები. განცხადებაში საუბარია იმაზე, რომ მშობლების მიზანი იყო იმ მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა, რომელსაც დისონანსი შეჰქონდა კლასში და არ ჰქონდათ პრეტენზია მასწავლებელთან.

მშობელი წერს, რომ დამრიგებელს სთხოვა გამოეჩინა მეტი სიფრთხილე ბავშვებთან მიმართებით, რადგან მან აგრესიულ მოსწავლეზე პრეტენზიით მისულ განმცხადებლის შვილს უპასუხა, რომ მეორე მოსწავლე ამას არ იზამდა. განმცხადებელი უთითებს, რომ ბავშვმა ეს ფრაზა აღიქვა ტყუილის თქმის ბრალდებად, რის გამოც აღარ მიმართავდა მასწავლებელს დახმარების თხოვნით.

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ რაღაც პერიოდის შემდეგ, არასასურველი ქცევა გამოავლინა მისმა შვილმაც, რის შემდეგაც ერთ-ერთ მშობელთან ერთად ისევ შეხვდა დირექტორს და მოითხოვა ქმედითი ღონისძიებების გატარება, რათა შეცვლილიყო სიტუაცია, რაზეც პასუხად მიიღო, რომ მხოლოდ მშობელთა კოლექტიური განცხადება იყო გამოსავალი, რაც მოსწავლის გარიცხვას გულისხმობდა.

ისევ გაიმართა მშობელთა კრება, რომელზეც შემოვიდა ქალბატონი, რომელმაც აღნიშნა, რომ არ ჰქონდა დრო, მაგრამ მაინც შემოიარა. ქალბატონმა თქვა, რომ თუ ბავშვებს გადაიყვანდნენ, ამით მათ ფსიქიკას ზიანს მიაყენებდნენ. როგორც ერთ-ერთმა მშობელმა განმცხადებელს უთხრა, ეს იყო სასწავლო ნაწილი.

განმცხადებელი წერს, რომ სკოლამ ბავშვების ფსიქიკით დააშინა მშობლები, თუმცა მას არ უფიქრია იმ მოსწავლეზე, რომელიც პრობლემული ქცევის მიუხედავად პრობლემურ კლასში გადმოიყვანა. კრებაზე გადაწყდა, რომ კლასთან იმუშავებდა ინგლისურნოვანი სექტორის ფსიქოლოგი, შედგებოდა დაკვირვების პროცესი და დასკვნა რეკომენდაციის სახით გადაეგზავნებოდა მშობლებს. მშობელი უთითებს, რომ დასკვნაში იკითხებოდა მხოლოდ მშობლებისკენ გაშვერილი თითი.

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ პრობლემის მოგვარების იმიტაციის მიზნით, ადმინისტარცია მშობლებს არწმუნებდა, რომ მათი რეკომენდაციით პრობლემური ბავშვი გადიოდა ფსიქოთერაპიის კურსს. პედაგოგმა არაერთხელ უთხრა მშობელს, რომ მართავდა სიტუაციას და ჰქონდა ურთიერთობა ბავშვის ფსიქოლოგთან. განცხადებაში საუბარია, რომ ბავშვის მშობელმა არ დაადასტურა ფსიქოთერაპიის ფაქტი.

განცხადებაში საუბარია, რომ ბოლო პერიოდში ხდებოდა მოსწავლეების კლასში მასწავლებლის გარეშე დატოვება, ღია ინტერნეტკავშირის მქონე ტელევიზორთან, რომელსაც მოსწავლეები, მშობლების მიმართვის დღემდე თავისუფლად რთავდნენ. იყო ტანისამოსის ქიმიური

ნივთიერებით დაზიანების არაერთი ფაქტი. არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა კითხვის დონე, განვლილი მასალა კი გეგმას ჩამორჩება.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
1000	711

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით, შესაბამისობის გეგმა და ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტები. სკოლამ წარმოადგინა ხარისხის მართვის სამსახურის 2024-2025 სასწავლო წლის ანგარიში, რომელშიც ასახულია სამსახურის მიერ განხორციელებულ პროცესების შეფასების შედეგები, მათ შორის, სკოლაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის კუთხით, შეფასების მეთოდებად კი გამოყენებულია როგორც მშობელთა გამოკითხვა, ასევე ინტერვიუ უსაფრთხოების თანამშრომლებთან და მათ საქმიანობაზე დაკვირვება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და შედეგად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება'', არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდგომ შეფასდა როგორც ,,შეესაბამება''.

ვიზიტის აღწერილობა

განცხადებაში დაფიქსირებული ინფორმაციისა და ვიზიტის ბრძანებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ერთდღიანი ვიზიტი.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა მონიტორინგის საფუძვლებში დაფიქსირებული გარემოებები და დაწესებულების საქმიანობის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, კერძოდ:

- *შემოწმდა მოსწავლეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელ დოკუმენტები და დოკუმენტაციაში ასახული, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცესების შესრულება;*
- *შემოწმდა სკოლის შიდა რეგულაციები ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიმართულებით და შესწავლილ იქნა აღნიშნულის პრაქტიკული განხორციელების პროცესი;*
- *შემოწმდა სკოლის მიერ გატარებული ღონისძიებები ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.*

ვიზიტის დროს, გამოთხოვილ და შესწავლილ იქნა სკოლის დოკუმენტაცია, შემოწმდა დღის წესრიგისა და მონიტორინგის ბრძანებაში ასახული საფუძვლების ირგვლივ არსებული საკითხები, ინტერვიუ განხორციელდა სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან, კერძოდ, დირექციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ფსიქოლოგებთან და მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. ინტერვიუ განხორციელდა თავად განცხადების ავტორთანაც, რომელთანაც ექსპერტებმა დააზუსტეს განცხადებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და სასკოლო საზოგადოების ინტერვიუს დროს მოწოდებული ინფორმაცია.

განცხადების შინაარსიდან გამომდინარე, შემოწმდა კონკრეტული ინდიკატორებით განსაზღვრული მოთხოვნების სკოლის მხრიდან შესრულება.

დასკვნის ამ ნაწილში წარმოგიდგენთ განცხადებაში დაფიქსირებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით ვიზიტის დროს დადგენილ გარემოებებს და მათ შეფასებას.

<u>განცხადებაში დაფიქსირებული გარემოების შესწავლის შედეგად დადგინდა შემდეგი:</u>

1. განმცხადებლის შვილი შპს ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესი-ბათუმში ირიცხებოდა 2024-2025 სასწავლო წლის სექტემბრიდან აპრილამდე. ბავშვის ფიზიკურ დასჯასთან დაკავშირებით ინტერვიუ განხორციელდა კლასის დამრიგებელთან, რომელიც ამავდროულად ამავე კლასის მასწავლებელია. დამრიგებელმა არ დაადასტურა მსგავსი ფაქტის არსებობა და განაცხადა, რომ ასეთ მეთოდებს არ იყენებს არცერთ მოსწავლეთან მიმართებით. ასევე, განაცხადა, რომ მას არანაირი სატელეფონო საუბარი არ ჰქონია განმცხადებელ მშობელთან ასეთი ფაქტის თაობაზე, რადგან ფაქტს ადგილი არ ჰქონია. დამრიგებელმა ერთი შემთხვევა გაიხსენა, როდესაც ადგილი ჰქონდა რიგით საკლასო ფიზიკურ აქტივობას, რომელშიც ყველა მოსწავლე იყო ჩართული და შესაძლოა ეს აქტივობა აღიქვა მშობელმა ფიზიკურ დასჯად. აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს დროს, სხვა მშობლებს საკლასო აქტივობებთან დაკავშირებით პრეტენზია არ დაუფიქსირებიათ.
   გარდა მასწავლებლისა, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ინტერვიუ განხორციელდა სკოლის დირექციასთან. დირექციამ განაცხადა, რომ მათ არ მიუღიათ ინფორმაცია მოსწავლის ფიზიკური დასჯის ფაქტთან დაკავშირებით.
   ინტერვიუ განხორციელდა ამავე კლასის მოსწავლეთა მშობლებთანაც. მშობლებმა დამრიგებელი დაახასიათეს როგორც მზრუნველი და თბილი პედაგოგი, რომელიც თანაბრად უნაწილებს ყურადღებას და სიყვარულს თითოეულ მოსწავლეს. ერთ-ერთმა მშობელმა ხაზი გაუსვა თავისი შვილის სკოლაში მარტივად ინტეგრაციის ფაქტს და განაცხადა, რომ მის შვილს უხარია სკოლაში სიარული. მშობლებმა განაცხადეს, რომ მათ არ სმენიათ ფიზიკური დასჯის შემთხვევის შესახებ არც თავიანთ შვილებთან და არც რომელიმე სხვა ბავშვთან მიმართებით.
2. სკოლის საპირფარეშოში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, ინტერვიუ განხორციელდა სკოლის დირექციასთან, კლასის დამრიგებელთან და ამავე კლასის მშობლებთან. დირექტორმა განაცხადა, რომ მან მშობლისგან ინფორმაცია მიიღო რამდენიმე თვის შემდეგ. მშობელი ვერ ასახელებდა კონკრეტულ პერსონალს, შესაბამისად, დირექციას გაუჭირდა მისი იდენტიფიცირება. დირექციამ ივარაუდა, რომ შესაძლოა ეს პერსონალი ყოფილიყო დამლაგებელი ან უსაფრთხო სკოლის კოორდინატორი (მანდატური). შესაბამისად, გამოჰკითხა ისინი, თუმცა მათ უარყვეს ასეთი ფაქტის არსებობა. განმცხადებელმა დაადასტურა, რომ მან ინფორმაცია სკოლის დირექციას ნამდვილად დაგვიანებით, რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ მიაწოდა და არა მყისიერად.
3. სკოლის შიდა ეზოში სკოლის პერსონალის მხრიდან ბავშვზე, კონკრეტულად მის ტანისამოსზე ხელით შეხებასთან დაკავშირებით, ინტერვიუ განხორციელდა სკოლის დირექციასთან. დირექციამ განაცხადა, რომ მას შემდეგ რაც მშობლისგან მიიღო ფაქტის შესახებ ინფორმაცია, გადაამოწმა ვიდეო კამერების ჩანაწერი, თუმცა ჩანაწერში მსგავსი ინციდენტი არ ფიქსირდებოდა. მშობელმა ინციდენტის მონაწილედ დაასახელა დამლაგებელი, რომელსაც დირექცია გაესაუბრა, თუმცა დამლაგებელმა არ დაადასტურა მსგავსი ფაქტის არსებობა. აღსანიშნავია, რომ სკოლამ მშობლის მიერ მითითებული პერიოდის შესაბამისად გადაამოწმა უახლოესი დღეების ვიდეოკამერების ჩანაწერიც, თუმცა ჩანაწერებში ასეთი ფაქტი არ დასტურდებოდა.
4. კლასში, ბავშვების რთული ქცევის შესახებ ინფორმაციის გადამოწმებისას, სკოლის დირექციამ, კლასის დამრიგებელმა, მშობლებმა და ფსიქოლოგებმა დაადასტურეს, რომ ნამდვილად არსებობდა მსგავსი პრობლემა, რაზეც აქტიურად მუშაობდნენ. კლასის დამრიგებელმა კლასის კრება მოიწვია (სასწავლო წლის დაწყებიდან 2 თვის შემდეგ) საჩივრის ავტორი მშობლების თხოვნით,

რომელზეც გამოიკვეთა პრობლემები მოსწავლეებს შორის ურთიერთობაში. მშობელმა დირექტორს მიმართა კონკრეტული პრობლემით, რომლის განხილვასაც დირექტორი დაჰპირდა მას სემესტრის განახლებისთანავე.
პირველი სემესტრის დასასრულს, პროცესში ჩაერთო სკოლის ორივე ფსიქოლოგი და ისინი მეორე სემესტრიდანვე გეგმავდნენ სხვადსხვა აქტივობას და საკორექციო მუშაობას. ფსიქოლოგებმა წარმოადგინეს პორტფოლიოები, რომლითაც დასტურდება, რომ მათ ჰქონდათ შემუშავებული სამოქმედო გეგმა აღნიშნულ კლასში სამუშაოდ და საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა კლასთან შეხვედრები. აღნიშნული კლასის სადამრიგებლო პროგრამის ფარლებში მუშავდება თემები, რომლებიც მიემართება თანამშრომლობითი და სოციალური უნარების განვითარებას.
გასაუბრებაზე მშობლებმა განაცხადეს, რომ ფსიქოლოგები მშობლებს უგზავნიდნენ დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციას. ერთ-ერთი აქტივობის სახით, მშობლებმა თავადაც ჩაატარეს კლასში გაკვეთილი თავიანთი შვილებისათვის და თვლიან, რომ სახალისო და წარმატებული აღმოჩნდა. მშობლების შეფასებით მოსწავლეებს აქვთ კლასისა და დამრიგებლის მიმართ მიკუთვნებულობის განცდა.

დირექციამ გასაუბრებისას განაცხადა, რომ ერთ-ერთი მოსწავლე, რომლის ქცევასთან დაკავშირებითაც უკვე არსებობდა სირთულეები, გადმოყვანილ იქნა პარალელური კლასიდან სწორედ იმიტომ, რომ ქცევის მართვა მომხდარიყო უფრო ეფექტურად. მოსწავლე შესვენებაზე კომუნიკაციას კარგად ამყარებდა აღნიშნული კლასის დამრიგებელთან და შესაბამისად, მშობლის თხოვნა იყო კლასის შეცვლა, რაც დირექციის მხრიდან დაკმაყოფილდა კიდეც.
აღსანიშნავია, რომ მშობლებმა დაადასტურეს არებული პრობლემა მოსწავლეების ქცევასთან დაკავშირებით, თუმცა თვლიან, რომ ეს პრობლემა არ არის უმართავი და მოსაგვარებლად საჭიროა დრო. მათ თავიდანვე იცოდნენ ბავშვის მშობლებისგან, რომ ბავშვის ქცევასთან დაკავშირებით არსებობდა სირთულეები და მშობლებიც მუშაობდნენ აღნიშნულ საკითხზე სპეციალისტის ჩართულობით, შესაბამისად, ისინი გაგებით ეკიდებოდნენ არსებულ გამოწვევას.
მშობელთა კრებასთან დაკავშირებით, სკოლის დირექციამ, დამრიგებელმა და მშობლებმა განაცხადეს, რომ დირექცია აქტიურად იყო ჩართული აღნიშნული კლასის პრობლემის ირგვლივ დაგეგმილ შეხვედრებში. თავად დირექციამ და კლასის დამრიებელმა კი განაცხადეს, რომ ისინი არაერთხელ შეხვდნენ განმცხადებელს და დაჰპირდნენ პრობლემის მოგვარებას.
ასევე, დადგინდა, ამავე კლასში ირიცხებოდა ფიზიკურად დიდი აღნაგობის მოსწავლე, რომელიც სპორტით იყო დაკავებული. მშობლებმა განაცხადეს, რომ ვინაიდან აღნიშნული მოსწავლე გამოირჩეოდა ფიზიკური სიძლიერით, ყველა თანაკლასელი ცდილობდა მასთან დამეგობრებას. სწორედ სკოლის ადმინისტრაციის რეკომენდაციით, აღნიშნული მოსწავლის მშობელი დამატებით გადაამისამართეს გარე ფსიქოლოგთან მოსწავლის დახმარების მიზნით. გარდა ამისა, მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე, სკოლამ ბავშვი გაათავისუფლა არასავალდებულო აქტივობებიდან.

განმცხადებლის შვილის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლე სკოლიდან გადავიდა, გადასვლის შემდეგ სკოლის დირექციას ჰქონდა მცდელობა მამასთან დაემყარებინა კომუნიკაცია და გასაუბრებოდა ბავშვის მდგომარეობის შესახებ. მამა დაჰპირდა სკოლას რომ მივიდოდა სკოლაში თუმცა არ გამოცხადებულა.

მასწავლებლებმა გასაუბრებაზე დაადსტურეს ფსიქოლოგებს ჩართულობა სასკოლო პროცესებში. მათ აღნიშნეს, რომ არსებობს უნებლიე ბულინგი მცირე ასაკიში, თუმცა შემთხვევის სამართავად მიმართავენ ზომებს, იღებენ კონსულტაციებს ფსიქოლოგისგან, ახორციელებენ პროექტებს. ფსიქოლოგი ესწრება გაკვეთილს და შემდეგ ატარებს შესაბამის აქტივობებს. გარდა ამისა, აღნიშნეს, რომ სკოლა არის მულტიკულტურული. შესაბამისად, აქვთ კულტურული აქტივობები სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეებისათვის, იმისათვის, რომ ბავშვებს გაუმარტივდეთ ახალ, მათთვის უცნობ კულტურასთან და ტრადიციებთან ადაპტირება.

5. ქცევის სირთულის მქონე მოსწავლის სკოლიდან გარიცხვასთან დაკავშირებით, მშობლებმა განაცხადეს, რომ მათ არასოდეს ჰქონიათ მსგავსი პოზიცია და არც ასეთი მოთხოვნა დაუყენებიათ. დირექციამაც განაცხადა, რომ პირველკლასელი მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის უფლება სკოლას არ აქვს არც მოქმედი კანონმდებლობით და არც სკოლის შიდა რეგულაციით. გარდა ამისა, არც დღის წესრიგში დამდგარა ასეთი საკითხი და არც მოსწავლის გარიცხვის თაობაზე კოლექტიური განცხადების შეტანისკენ მოუწოდებია მათთვის. რაც შეეხება სხვა მოსწავლეების გადაყვანას, არც მშობლები და არც სკოლის წარმომადგენლები არ ადასტურებენ, რომ დღის წესრიგში სხვა მოსწავლეების გადაყვანის საკითხი იყო დაყენებული მშობლების მხრიდან.

   სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას განაცხადა, რომ სწორედ განცხადების ავტორი მშობელი იმუქრებოდა კოლექტიური განცხადებით პირველი კლასიდან პრობლემური ქცევის მოსწავლის გარიცხვის შესახებ. ასევე, მშობლის მხრიდან მუდმივად იყო ჩასაფრებული მიდგომა და დაუმსახურებელი კრიტიკა სკოლის მიმართ.

6. დამრიგებელსა და განმცხადებლის შვილს შორის კომუნიკაციასთან დაკავშირებით, დამრიგებელმა განაცხადა, რომ შესაძლოა მან ნამდვილად უთხრა მასთან პრეტენზიით მისულ მოსწავლეს სიტყვები ,,ამას არ იზამდა'', მაგრამ ეს ემსახურებოდა მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ მოსავლეებს შორის უარყოფითი დამოკიდებულება არ ყოფილიყო და ხაზი გაესვა, რომ მისი თანაკლასელი ცუდად შეგნებულად არ მოიქცეოდა მის მიმართ.

7. მოსწავლეების კლასში მასწავლებლის გარეშე დატოვებისა და ინტერნეტთან უკონტროლო წვდომის ფაქტთან დაკავშირებით, ასეთი ფაქტების არსებობა არ დაადასტურებს არც მშობლებმა და არც სკოლის წარმომადგენლებმა.

   ტანისამოსის ქიმიური ნივთიერებით დაზიანების ფაქტებთან დაკავშირებით კი განცხადებელს ინტერიუს დროს ეთხოვა დაეკონკრეტებინა თუ რა გარემოში და რა სახის დაზიანებაზე იყოს საუბარი. მან განაცხადა, რომ საპირფარეშოში დამლაგებლის საქმიანობის დროს ადგილი ჰქონდა ქიმიური ნივთიერებების გაშხეფების ფაქტს, რის შედეგადაც მისი შვილი სახლში ბრუნდებოდა დალაქავებული სამოსით. გარდა ამისა, იყო შემთხვევები, როდესაც მოსწავლეები საპირფარეშოში აქაფებული ქიმიური საშუალებებით „გუნდაობდნენ“, რომელიც დამლაგებლის მიერ იყო აქაფებული.

აღნიშნული ფაქტი უარყო სკოლის წარმომადენლებმა და განაცხადეს, რომ დამლაგებელს აქვს ინსტრუქცია თუ როგორ აწარმოოს დასუფთავების სამუშაოები და ქიმიური ნივთიერებები ინახება გარეშე პირებისგან დაცულად. მშობლებმა კი განაცხადეს, რომ მსგავსი ფაქტი მათთვის არ არის ცნობილი და რომ მათ არასოდეს შეუმჩნევიათ თავიანთი შვილების ქიმიური ნივთოერებით დასვრილი სამოსი.

8. მოსწავლეთა სწავლის დონესთან დაკავშირებით მშობლებმა განაცხადეს, რომ თავიანთი შვილების სწავლის დონე არ ჩამორჩება პირველი კლასისთვის გათვალისწინებულ დონეს და მათ არ აქვთ ამ მიმართულებით არანაირი პრეტენზია. სკოლის წარმომადგენლებმა კი განაცხადეს, რომ პირველი კლასის მოსწავლეებს აქვთ მათ ასაკისა და კლასის შესაბამისი პროგრამა და მშობლების მხრიდან პრეტენზია არ დაფიქსირებულა.

<u>ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი სხვა მიგნებები:</u>

ინდიკატორი 3.4.1.4 - სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველსაყოფად, დოკუმენტი ,,ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს დებულება''. დოკუმენტი ითვალისწინებს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნისა და დაცვისათვის სკოლის მიერ შესასრულებელ აქტივობებს, როგორიცაა საინფორმაციო და პრევეციურლი აქტივობები. დარეგულირებულია ფსიქოლოგიური შინაარსის კონფლიქტების მართვის სტრატეგიები, კონფლიქტის საწყის ეტაპზე აღმოჩენის და განეიტრალების გზები, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნისა და დაცვის მექანიზმები. სკოლას დასაქმებული ჰყავს 2 ფსიქოლოგი, რომელთა ფუნქციასაც წარმოადგენს მოსწავლეთა პირველადი სკრინინგის განხორციელება, შეხვედრების და კონსულტაციების ჩატარება როგორც ჯგუფებთან, ასევე, ინდივიდუალურად მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან.

დამრიგებლებს აქვთ სადამრიგებლო პროგრამები. დამრიგებლის მუშაობა ხორციელდება პიროვნული და მორალური განვითარების, უსაფრთხოება და მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერების ჩამოყალიბების და სხვა მიმართულებით.

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის დებულება და შექმნილი ჰყავს შესაბამისი მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიზანს , მათ შორის, წარმოადგენს მოსწავლეთა სირთულეებისა და არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და დახმარების პროცესის ხელშეწყობა, მოსწავლისათვის ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით დახმარება, მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური განვითარების ხელშეწყობა და სხვა.

სკოლის ფსიქოლოგებთან, დამრიგებელთან, დირექციასთან და მშობლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ფსიქოლოგები აქტიურად მუშაობენ კლასის დამრიგებლებთან და ეცნობიან მოსწავლეთა საჭიროებებს. შემთხვევების პრევენციის მიზნით ახორციელებენ პროექტებს. აგრეთვე, ფსიქოლოგები მასწავლებლებს პერიოდულად უტარებენ ტრენინგს ბავშვთა ფსიქოლოგიის საკითხებთან დაკავშირებით. ფსიქოლოგებს შედგენილი აქვთ სამოქმედო გეგმა. პრობლემის არსებობის შემთხვევაში დამრიგებლები მიმართავენ ფსიქოლოგებს. საშუალოდ, კვირაში ერთხელ, კლასებში ტარდება ფსიქოლოგის საათი. ფსიქოლოგებმა აღნიშნეს, რომ მომართვიანობა ხშირია მშობლების მხრიდანაც და აქტივობები ხორციელდება როგორც ჯგუფებში, ასევე მოსწავლეებთან ინდივიდუალურადაც.
ინტერვიუებით და ფსიქოლოგების პორტფოლიოების შესწავლით დადგინდა, რომ შიდა რეგულაციებით გათვალისწინებული აქტივობები სკოლაში ხორციელდება პრაქტიკულად.
სკოლას ნოემბრის თვეში მასწავლებლებისთვის ჩატარებული აქვს ტრენინგები სხვადასხვა თემატიკაზე, მათ შორის: ,,სოციალურ-ემოციური უნარების სწავლება'', ,,კლასის მართვა: სიხარული და დისციპლინა'', ,,სადამრიგებლო პროგრამების როლი მაოსწავლის განვითარებაში'' და სხვა. ასევე, ინკლუზიური განათლების საკითხებზე ტრენინგები ჩატარდა დაქირავებული ინკლუზიური განათლების კოორდინატორის მიერ.

ჩატარებული ინტერვიუებით, სასკოლო დოკუმენტაციისა და სასკოლო გარემოს გაცნობით, არ გამოკვეთილა გარემოებები, რომლებიც ეჭვქვეშ დააყენებდა სკოლაში ფსიქოლოგიურად ემოციურად საფრთხის შემცველი გარემოს არსებობას.

ინდიკატორი 3.4.1.8 - სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგების საფუძველზე გამოვლენილ ხარვეზებში ჩასაღრმავებლად, შესაძლოა მონაცემთა შეგროვების მეთოდად გამოყენებულ იქნას **ინტერვიუ/გამოკითხვა/ ფოკუს ჯგუფი.** შეფასებების საფუძველზე ანგარიში მიეწოდება გენერალურ დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. განმეორებითი შეფასების შედეგად ხდება რეაგირების შეფასება. კარგი პრაქტიკა გაზიარდება თანამშრომლებთან.
ხარისხის უზრუნველყოფისთვის შემუშავებული სამოქმედო გეგმა შესასრულებელ აქტივობად ითვალისწინებს სკოლის უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის მონიტორინგსა და შეფასებას, ხოლო შეფასების ინსტრუმენტად, **ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, შესაბამისი კითხვარებით გამოკითხვის ორგანიზება, შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლა.**
ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, სკოლის მიერ 2024-2025 სასწავლო წლის პირველი სემესტრის შემდეგ ჩატარებული მშობელების გამოკითხვით, მშობლებთან და სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლას 2024-2025 სასწავლო წელს სრულყოფილად არ ჰქონდა განხორციელებული ადამიანებისა და პროცესების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასება.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით, შესაბამისობის გეგმა და ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტები. სკოლამ წარმოადგინა ხარისხის მართვის სამსახურის 2024-2025 სასწავლო წლის ანგარიში, რომელშიც ასახულია სამსახურის მიერ განხორციელებულ პროცესების შეფასების შედეგები, მათ შორის, სკოლაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის კუთხით, შეფასების მეთოდებად კი გამოყენებულია როგორც მშობელთა გამოკითხვა, ასევე ინტერვიუ უსაფრთხოების თანამშრომლებთან და მათ საქმიანობაზე დაკვირვება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და შედეგად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდგომ შეფასდა როგორც „შეესაბამება".

<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u> ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად გამოყენებული კვლევისა და შეფასების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის წარმომადგენლისთვის - მათ შორის მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის, მასწავლებლებისთვის, ადმინისტრაციული და სხვა დამხმარე პერსონალისთვის. მიუხედავად იმისა, მიიღებენ თუ არა მონაწილეობას ნებაყოფლობითობის პრინციპზე დაფუძნებულ პროცესში ყველა ჯგუფის წარმომადგენლები, სკოლას ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს პროცესში მონაწილეობისთვის საჭირო პირობები თითოეული მათგანისთვის და არ შემოიფარგლოს მხოლოდ კონკრეტული ჯგუფის - მაგალითად, მშობლების ან მათი ნაწილის - გამოკითხვით. მხოლოდ კონკრეტულ ჯგუფზე ორიენტირებული შეფასება ზღუდავს პროცესის სიღრმისეულ ანალიზს და აფერხებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სისტემურ გაუმჯობესებას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

<u>(იხილეთ ინდიკატორი 3.4.1.8-ის დეტალური აღწერა)</u>

ინდიკატორი 4.1.1.1 - სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

სკოლის შიდა რეგულაციები, როგორიცაა შინაგანაწესი, მოსწავლეთა მხარდაჭერის წესი, სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს დებულება და სხვა დოკუმენტები წარმოადგენს მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მექანიზმს. სკოლის შინაგანაწესით დარეგულირდება მოსწავლის უფლება-მოვალეობა/წახალისება, დისციპლინური წარმოების თავისებურებები, გასაჩივრების უფლება და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

სკოლას როგორც შინაგანაწესით, ისე ცალკე არსებული რეგულაციის სახით დამტკიცებული აქვს დისციპლინური წარმოების წესი სკოლის თანამშრომლისა და მოსწავლის შემთხვევაში. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტები.

2024 წლის 11 ნოემბრის N03/91-1 ბრძანების დანართი N1 და N2-ით დამტკიცებული დისციპლინური გადაცდომის განხილვაზე უფლებამოსილი კომიტეტის დებულებებში გაწერილია, რომ დისციპლინური კომიტეტის სხდომა არის ღია და შეიძლება დაიხუროს სავარაუდო გადაცდომის ჩამდენი პირის ინიციატივით. გადაწყვეტილებას სხდომის დახურვის თაობაზე იღებს დისციპლინური კომიტეტი ხმათა უმრავლესობით.

<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u> გაესწორებინა აღნიშნული ჩანაწერი მოსწავლეთა და თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომების განმხილველი კომიტეტების დებულებებში კომიტეტების სხდომების ღიაობასთან დაკავშირებით და უზრუნველეყო დისციპლინური წარმოების პროცესის კონფიდენციალურობის დაცვა.

შენიშვნა: სკოლამ გაითვალისწინა ექპერტთა ჯგუფის რჩევა. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ ცვლილებები შეიტანა მოსწავლეთა და თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომების განმხილველი კომიტეტების დებულებებში.

ინდიკატორი 4.2.1.1 - სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი, რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები, სხვა და სხვა კლასის მოსწავლეთა, მათ შორის, სსსმ მოსწავლეების და იმ მოსწავლეების, რომელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას ართულებს ენობრივი ბარიერი, ადაპტაციის პროცესის ხელშემწყობი ღონისძიებები. იდენტიფიცირებულია ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომელიც გასათვალისწინებელია მოსწავლის სასკოლო პროცესში ადაპტაციის ხელშწყობისთვის, განსაზღვრულია რეკომენდაციები მოსწავლეთა წარმატებული ადაპტაციისას, ასევე, წარმატებული და წარუმარტებული ადაპტაციის მახასიათებლები.

ინდიკატორი 4.2.1.2 - სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმში დარეგულირებულია პირველკლასელთა და სხვა სკოლიდან მობილობით ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები. სასწავლო წლის დაწყებისას პირველი დღე სკოლაში ტარდება განსხვავებული ფორმატით. სკოლის ეზოში ეწყობა საზეიმო დახვედრა, რომლის მიზანია სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით მოსწავლეების უკეთ გაცნობა და დაახლოება.

ინტერვიუს დროს ერთ-ერთმა მშობელმა გაიხსენა წარმატებული ადაპტაციის შემთხვევა თავის შვილთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ვინაიდან სკოლა არის მულტიკულტურული, მათთვის უცნობ კულტურასთან და ტრადიციებთან ადაპტირების გაადვილების მიზნით ხორციელდება კულტურული აქტივობები სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეებისათვის.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.8	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის	სკოლას მიეცა რჩევა: 1. უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის მონიტორინგი განახორციელოს სასწავლო წლის განმავლობაში არანაკლებ ორჯერ და მონიტორინგის ვადები, განსაზღვროს ისე, რომ შესაძლებელი გახდეს, შედეგების გათვალისწინებით იდენტიფიცირებული ხარვეზების აღმოფხვრის აქტივობები განხორციელდეს სასწავლო წლის ბოლომდე და უზრუნველყოფილი იყოს განმეორებითი შეფასება. 2. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად გამოყენებული კვლევისა და შეფასების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის წარმომადგენლისთვის - მათ შორის მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის, მასწავლებლებისთვის, ადმინისტრაციული და სხვა დამხმარე პერსონალისთვის. მიუხედავად იმისა, მიიღებენ თუ არა მონაწილეობას ნებაყოფლობითობის პრინციპზე დაფუძნებულ პროცესში ყველა ჯგუფის წარმომადგენლები, სკოლას ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს პროცესში მონაწილეობისთვის საჭირო პირობები თითოეული მათგანისთვის და არ შემოიფარგლოს მხოლოდ კონკრეტული ჯგუფის - მაგალითად, მშობლების ან მათი ნაწილის - გამოკითხვით. მხოლოდ კონკრეტულ

		ჯგუფზე ორიენტირებული შეფასება ზღუდავს პროცესის სიღრმისეულ ანალიზს და აფერხებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სისტემურ გაუმჯობესებას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, სკოლის დამხმარე პროცესია უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, რომელიც მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს:

- ✓ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა;
- ✓ სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები;
- ✓ სკოლის ვიდეოთვალთვალის/აუდიოჩამწერი სისტემით აღჭურვის, ადმინისტრირების, პერსონალურ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გამოყენების წესი.

პროცესი ციკლური ხასიათისაა. **მონიტორინგი ხორციელდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ, ხარისხის მართვის სამსახურის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით.**
<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u> მონიტორინგი განახორციელოს სასწავლო წლის განმავლობაში არანაკლებ ორჯერ და მონიტორინგის ვადები, განსაზღვროს ისე, რომ შესაძლებელი გახდეს, შედეგების გათვალისწინებით იდენტიფიცირებული ხარვეზების აღმოფხვრის აქტივობები განხორციელდეს სასწავლო წლის ბოლომდე და უზრუნველყოფილი იყოს განმეორებითი შეფასება.

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით, ასევე, განსაზღვრულია, რომ სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგების საფუძველზე გამოვლენილ ხარვეზებში, ჩასაღრმავებლად, შესაძლოა მონაცემთა შეგროვების მეთოდად გამოყენებულ იქნას

ინტერვიუ/გამოკითხვა/ ფოკუს ჯგუფი. შეფასებების საფუძველზე ანგარიში მიეწოდება გენერალურ დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. განმეორებითი შეფასების შედეგად ხდება რეაგირების შეფასება. კარგი პრაქტიკა გაზიარდება თანამშრომლებთან.

ხარისხის უზრუნველყოფისთვის შემუშავებული სამოქმედო გეგმა შესასრულებელ აქტივობად ითვალისწინებს სკოლის უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის მონიტორინგსა და შეფასებას, ხოლო შეფასების ინსტრუმენტად, ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, შესაბამისი კითხვარებით გამოკითხვის ორგანიზება, შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლა.

სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის პირველი სემესტრის შემდეგ, ელექტრონული კითხვარებით მხოლოდ მშობლების გამოკითხვის დამადასტურებელი მასალები. კითხვარებში მოცემულია კითხვები, რომლებიც ემსახურება სასკოლო გარემოს უსაფრთხოების შეფასებას. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, სკოლას არ წარმოუდგენია სასკოლო გარემოს უსაფრთხოების შეფასებისთვის სრული სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეები, მასწავლებლები და სხვა თანამშრომლები) გამოკითხვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

პირველი კლასის მშობლებმა გასაუბრებაზე განაცხადეს, რომ სკოლას არასდროს ჩაუტარებია მათთან ასეთი გამოკითხვა. დირექციის წარმომადგენლებმა აღნიშნული საკითხის დაზუსტებისას განაცხადეს, რომ გამოკითხვა არ ჩატარებულა მხოლოდ პირველი კლასელების მშობლებში, თუმცა საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ერთ-ერთმა მშობელმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ მას მეორე შვილი ჰყავს მაღალ კლასში და არც მაღალ კლასში მომხდარა გამოკითხვა. სკოლას ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს არ წარმოუდგენია უსაფრთხოების შეფასებისთვის გამოყენებული არც სხვა მეთოდი თუ ინსტრუმენტი.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, არ დადასტურდა, რომ სკოლას სრულყოფილად ჰქონდა განხორციელებული ადამიანებისა და პროცესების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასება და შეფასების შედეგები აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის გამოყენების ფაქტი.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით, შესაბამისობის გეგმა და ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტები.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით, რომელშიც განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 20 ივნისს, რა დროსაც სკოლაში არსებობდა შუალედური ანგარიშები, რომლის მომზადებაც სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაციით გათვალისწინებული იყო სემესტრულად.

არგუმენტირებულ პოზიციაში, ასევე, მითითებულია, რომ ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის სამოქმედო გეგმით, სკოლის უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი და შეფასება უნდა განხორციელებულიყო თებერვალ-მარტის თვეში, რაც განხორციელდა პასუხისგემებელ პირებთან ინტერვიუების მეშვეობით, მითითებულ დროში, სამსახურის უფროსის მიერ. სკოლის განმარტებით, ყველა მსგავსი შეფასების შედეგი თავს იყრის სამსახურის წლიურ ანგარიშში, რომელიც არ იყო მომზადებული და წარდგენილი სკოლის დირექტორთან, რადგან წლის შეჯამება 20 ივნისს არ იყო დასრულებული.

სკოლის განმარტებით, ადამიანებისა და პროცესების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასების შედეგები (სტანდარტთან მიმართებით) განხორციელებულია და იგი წარმოადგენს ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის ანგარიშის ნაწილს. ***სკოლამ წარმოადგინა ხარისხის***

მართვის სამსახურის 2024-2025 სასწავლო წლის ანგარიში, რომელშიც ასახულია სამსახურის მიერ განხორციელებულ პროცესების შეფასების შედეგები, მათ შორის, სკოლაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის კუთხით, შეფასების მეთოდებად კი გამოყენებულია როგორც მშობელთა გამოკითხვა, ასევე ინტერვიუ უსაფრთხოების თანამშრომლებთან და მათ საქმიანობაზე დაკვირვება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და შედეგად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდგომ შეფასდა როგორც „შეესაბამება".

ექსპერტთა ჯგუფის მიერ მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად დაფიქსირებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომლითაც დადგინდა, რომ 2024-2025 სასწავლო წელს ყველა კლასში არ იყო ჩატარებული გამოკითხვა, სკოლამ განმარტა, რომ კითხვარის შევსება ნებაყოფლობითია. შესაბამისად, სკოლა ვარაუდობს, რომ კონკრეტულმა მშობელმა, რომელმაც გასაუბრებისას განაცხადა, რომ არ იცოდა გამოკითხვის შესახებ, არ მიიღო მონაწილეობა გამოკითხვაში, რაც, სკოლის მოსაზრებით, არ შეიძლება ჩაითვალოს სკოლის სისტემურ ხარვეზად. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლა აქცენტს აკეთებს გასული წლის ბოლოს განხორციელებულ გამოკითხვაზე, თუმცა მშობლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ეხებოდა 2024-2025 სასწავლო წელს.

სკოლამ, ასევე, არგუმენტირებულ პოზიციაში მიუთითა, რომ მიმდინარეობს 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს განხორციელებული გამოკითხვის ანალიზი.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და მხედველობაში იღებს სასწავლო წლის ბოლოს განხორციელებულ ანგარიშში ასახულ შედეგებს უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის კუთხით გატარებული ღონისძიებების თაობაზე. თუმცა, მშობლებთან განხორციელებული ინტერვიუს ფარგლებში, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ კითხვარების მეშვეობით გამოკითხვის ფაქტის არარსებობა დაადასტურა არა ერთმა, არამედ ინტერვიუზე გამოცხადებულმა სამივე მშობელმა, რომლებიც წარმოადგენდნენ პირველი კლასის მოსწავლეთა მშობლებს, ხოლო მათგან ერთი ასევე მე-8 კლასის მოსწავლის მშობელს. საგულისხმოა, რომ მას შემდეგ რაც ინტერვიუზე მყოფმა მშობლებმა ექსპერტებისგან შეიტყეს, რომ სკოლა ახორციელებდა გამოკითხვას ელექტრონული კითხვარების მეშვეობით, სწორედ მათი თხოვნა და სურვილი იყო ის, რომ მათაც მისცემოდათ საშუალება დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები ანონიმური გამოკითხვის მეშვეობით.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომელიც ადასტურებს, რომ მშობლებისთვის გაგზავნილია კონკრეტულ კლასებში შემავალი მასწავლებლების და დამრიგებლების შეფასების კითხვარი და არა კითხვარი, რომელიც აფასებს სასკოლო გარემოს, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთოხების მექანიზმების ფუნქციონირებას.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, <u>სკოლას მიეცა რჩევა,</u> ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად გამოყენებული კვლევისა და შეფასების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის წარმომადგენლისთვის - მათ შორის მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის, მასწავლებლებისთვის, ადმინისტრაციული და სხვა დამხმარე პერსონალისთვის. მიუხედავად იმისა, მიიღებენ თუ არა მონაწილეობას ნებაყოფლობითობის პრინციპზე დაფუძნებულ პროცესში ყველა ჯგუფის წარმომადგენლები, სკოლას ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს პროცესში მონაწილეობისთვის საჭირო პირობები თითოეული მათგანისთვის და არ შემოიფარგლოს მხოლოდ

კონკრეტული ჯგუფის - მაგალითად, მშობლების ან მათი ნაწილის - გამოკითხვით. მხოლოდ კონკრეტულ ჯგუფზე ორიენტირებული შეფასება ზღუდავს პროცესის სიღრმისეულ ანალიზს და აფერხებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სისტემურ გაუმჯობესებას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის მიერ ჩატარებული გამოკითხვა;
- მშობლებთან და დირექციასთან ჩატარებული ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას 2024 წლის 11 ნოემბრის N03/91-1 ბრძანების დანართი N1 და N2-ით დამტკიცებული აქვს დისციპლინური გადაცდომის განხილვაზე უფლებამოსილი კომიტეტის დებულებები, რომლებიც ითვალისწინებს, რომ დისციპლინური კომიტეტის სხდომა არის ღია და შეიძლება დაიხუროს სავარაუდო გადაცდომის ჩამდენი პირის ინიციატივით. გადაწყვეტილებას სხდომის დახურვის თაობაზე იღებს დისციპლინური კომიტეტი ხმათა უმრავლესობით. დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებული საკითხები არის სენსიტიური, განსაკუთრებით, არასრულწლოვნებთან მიმართებით. შესაძლოა, დისციპლინური წარმოების პროცესში გამჟღანებული ინფორმაცია შეიცავდეს შემდგომში დისკრიმინაციის საფრთხეს.

<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u> გაესწორებინა ჩანაწერი მოსწავლეთა და თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომების განმხილველი კომიტეტების დებულებებში კომიტეტების სხდომების ღიაობასთან დაკავშირებით და უზრუნველეყო დისციპლინური წარმოების პროცესის კონფიდენციალურობის დაცვა.

<u>შენიშვნა:</u> სკოლამ გაითვალისწინა ექპერტთა ჯგუფის რჩევა. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ ცვლილებები შეიტანა მოსწავლეთა და თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომების განმხილველი კომიტეტების დებულებებში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომის განხილვაზე უფლებამოსილი კომიტეტის დებულება;
- მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომის განხილვაზე უფლებამოსილი კომიტეტის დებულება.

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი: 16.07.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

Ia Kuridze 61001057014

Digitally signed by Ia Kuridze
Date: 2025.07.16 22:46:56

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: